დამტკიცებულია 2014 წლის _____
წარმომადგენლობითი საბჭოს
№_____ სხდომის ოქმით

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „ბავშვის განვითარების ინსტიტუტის“

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „ბავშვის განვითარების ინსტიტუტის“ (შემდგომში – ინსტიტუტი) მიზნებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვის ორგანოებს, უფლება-მოვალეობებს, ინსტიტუტის პერსონალს, სასწავლო და კვლევითი პროგრამების მომზადებაში მონაწილეობას და სხვა საკითხებს.

2. ინსტიტუტის დებულებას და მასში ცვლილებებს ინსტიტუტის დირექტორთან ერთად შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ინსტიტუტის პროფესიული საბჭო, თანხმობის შემთხვევაში აკადემიური საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 2. ინსტიტუტის მისია, სტრატეგიული თვალთახედვა, საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მუხლი 2.1. ინსტიტუტის მისიაა:

ა) ბავშვთა და მოზარდთა განვითარების, სოციალური ინტეგრაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების ხელშეწყობა;

ბ) ბავშვთა და მოზარდთა განვითარების სფეროში კვლევების, მათ შორის, მულტი- და ინტერდისციპლინური, გენერირება და გამოცდილების გაზიარება;

გ) ინკლუზიური განათლების პროცესის სამეცნიერო უზრუნველყოფა და ამ კუთხით ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;

დ) ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კუთხით მოწინავე საერთაშორისო გამოცდილებისა და კვლევების შესწავლა და საქართველოში თანამედროვე კვლევაზე დაფუძნებული მეთოდების დანერგვისა და გამოყენების ხელშეწყობა;

ე) სამეცნიერო ლიტერატურის, თარგმანების, სასწავლო კურსებისა და სახელმძღვანელოების, მეთოდური სახელმძღვანელოების შექმნა.

მუხლი 2.2. ინსტიტუტის თვალთახედვა:

ა) საქართველოში მეცნიერული განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაღალპროფესიული სისტემებისა და ინსტიტუციების, მათ შორის, მრავალ-პროფილური დაწესებულების ჩამოყალიბებას, რომელიც ერთ სივრცეში განახორციელებს ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ხელშეწყობაზე მიმართულ აქტივობებს.

ბ) ინსტიტუტმა უნდა უზრუნველყოს სპეციალური საჭიროების მქონე რისკჯგუფში მყოფი ბავშვებისა და მათ ოჯახების მრავალკომპონენტიანი მომსახურება.

გ) ინსტიტუტმა უნდა შექმნას სათანადო პირობები კვლევითი საქმიანობის განხორციელებისათვის, რომელიც საფუძველს შეუქმნის ინსტიტუტში დანერგილი მომსახურებისთვის თანამედროვე კვლევაზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენებას.

დ) ინსტიტუტმა უნდა იფუნქციონიროს, როგორც სასწავლო ბაზამ და ხელი შეუწყოს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტთა მომზადებას და პრაქტიკოსი სპეციალისტების გადამზადებას.

ე) ინსტიტუტმა უნდა შექმნას სათანადო პირობები, რათა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაიკავოს მოწინავე პოზიცია ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კუთხით პრაქტიკოსი სპეციალისტების მომზადებაში.

ვ) ინსტიტუტმა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასწავლო პროგრამებით ხელი უნდა შეუწყოს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტების მომზადებას.

ზ) ინსტიტუტი უნდა გადაიქცეს სრულფასოვან ადგილობრივ და საერთაშორისო ცენტრად ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კუთხით წარმოებული კვლევების დარგში, თანამშრომლობისთვის მოიზიდოს უცხოელი კოლეგები, წამყვანი უნივერსიტეტები და სკოლები.

მუხლი 2.3. ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ა) მულტი და ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევა;

ბ) ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება და მათი დანერგვა;

გ) სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, მრგვალი მაგიდების საშუალებით საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავება და კვლევათა შედეგების საჯარო აპრობაცია;

დ) ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება და მათთან მჭიდრო თანამშრომლობა პედაგოგთა და სტუდენტთა შემდგომი ინტეგრაციისათვის ადგილობრივ და მსოფლიო სამეცნიერო სივრცეში;

ე) მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების დანერგვა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად;

ვ) ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კუთხით მრავალფეროვანი მომსახურების (ABA თერაპია, ადრეული განვითარების ინდივიდური და ჯგუფური პროგრამა, მშობელთა გაძლიერების პროგრამა, შრომითი უნარების განვითარების პროგრამა, ენისა და მეტყველების თერაპია და ა.შ.) განხორციელება და კვლევაზე დაფუძნებული განვითარება;

ზ) ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით პროექტებს ადგენენ ინსტიტუტის საქმიანობაში მონაწილე პროფესორები და/ან მკვლევრები და/ან ცენტრებისა და პროგრამების ხელმძღვანელები, რომლებიც ქმნიან ინსტიტუტის პროფესიულ საბჭოს.

მუხლი 2.4. ინსტიტუტის მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

ინსტიტუტის მთავარი მიზანია ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ხელშეწყობა, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის მრავალპროფილიანი და ხარისხიანი მომსახურების სრული სპექტრით უზრუნველყოფა და კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება შემდეგი მიმართულებებით:

ა) აუტიზმისა და აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა შეფასება და აბილიტაცია;

ბ) ადრეული განვითარების ხელშეწყობა, კერძოდ, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ან რისკჯგუფში მყოფი ბავშვების უზრუნველყოფა შესაბამისი განმავითარებელი ინდივიდური და ჯგუფური აქტივობებით, რასაც თან ახლავს მშობლის/მეურვის გაძლიერება ბავშვის სხვადასხვა უნარის განვითარების ხელშესაწყობად;

გ) სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდებში შრომითი უნარების გამომუშავების ხელშეწყობა;

დ) ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა განათლების ყველა საფეხურზე შესაბამისი საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობით;

ე) სპეციალისტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, რაც მოიცავს მოზრდილთა განათლების სხვადასხვა ეტაპის კომპონენტებს, როგორებიცაა: სტუდენტების პრაქტიკა, სპეციალისტთა მომზადება, სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება ტრენინგისა თუ სუპერვიზიის დახმარებით;

ვ) ინსტიტუტის ცენტრებისა და პროგრამების ბენეფიციართა ინტერესების ადვოკატირება;

ზ) ბავშვთა და მოზარდთა განვითარების სფეროში ახალი მიმართულებების, მეთოდებისა და პრაქტიკის კვლევა, მათი გამოყენების პირობებისა და საქართველოში მათი დანერგვის შესაძლებლობების შესწავლა, მათ შორის, ქცევით-ემოციური განვითარების პროგრამის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, იპოთერაპიის, სენსორული თერაპიის, ენისა და მეტყველების თერაპიისა და ა.შ.;

თ) უნივერსიტეტში არსებულ ფაკულტეტებთან, ინსტიტუტებსა და ცენტრებთან თანამშრომლობა საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში;

ი) ინსტიტუტი წევრიანდება პროფილურ საერთაშორისო ორგანიზაციებში და აწარმოებს მათთან ერთობლივ პროგრამებსა და კვლევებს.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

ა) ინსტიტუტს ჰყავს დირექტორი და პროფესორების, მკვლევრებისა და ინსტიტუტის ფარგლებში მოქმედი ცენტრებისა და პროგრამების ხელმძღვანელებისაგან შემდგარი ინსტიტუტის პროფესიული საბჭო.

ბ) ინსტიტუტში მოქმედებს ბენეფიციართა რეგისტრაციის ერთიანი სისტემა.

მუხლი 4. ინსტიტუტის მართვის ორგანოები და მათი ფუნქციები

ა) ინსტიტუტის მართვის ორგანოებია: ინსტიტუტის დირექტორი და ინსტიტუტის პროფესიული საბჭო, რომელიც შედგება ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის შესაბამისი მიმართულების პროფესორებისა და ინსტიტუტის ფარგლებში მოქმედი ცენტრებისა და პროგრამების ხელმძღვანელებისაგან.

ბ) ინსტიტუტის პროფესიულ საბჭოს ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი.

გ) ინსტიტუტის პროფესიული საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 4.1. ინსტიტუტის დირექტორი

ა) ინსტიტუტის დირექტორად შეიძლება დაინიშნოს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი და მას ნიშნავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო;

ბ) ინსტიტუტის დირექტორი ხელმძღვანელობს ინსტიტუტის საქმიანობას;

გ) აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის იმ კვლევითი პროექტის ბიუჯეტის პროექტს, რომელიც საჭიროებს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსებას, ინსტიტუტის მიერ განსახორციელებელ პროგრამებს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამასა და ინსტიტუტის დებულებას;

დ) აკადემიურ საბჭოს წარუდგენს წინადადებებს სამუშაოზე ასაყვანი მკვლევრებისა და პროფესორების კანდიდატურებთან დაკავშირებით;

ე) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს ინსტიტუტის ფარგლებში მოქმედი ცენტრებისა და პროგრამების ხელმძღვანელებთან, პერსონალთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით;

ვ) ყოველი წლის ბოლოს აკადემიურ საბჭოს წარუდგენს საქმიანობის წლიურ ანგარიშს;

ზ) პროფესიულ საბჭოსთან შეთანხმებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დასამტკიცებლად წარუდგენს წინადადებებს ინსტიტუტის მიერ განსახორციელებელი მომსახურების საფასურის ოდენობის შესახებ.

მუხლი 4.2. ინსტიტუტის პროფესიული საბჭო

ა) ინსტიტუტის პროფესიული საბჭო განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს დირექტორის მიერ წარმოდგენილი კლინიკის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამასთან დაკავშირებით;

ბ) ითანხმებს ინსტიტუტის დირექტორის მიერ შემუშავებულ ბიუჯეტის პროექტს;

გ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს ინსტიტუტის ახალ წევრთა კანდიდატურებისა და შერჩევის პრინციპებთან დაკავშირებით;

დ) ინსტიტუტის დირექტორთან ერთად შეიმუშავებს აკადემიურ საბჭოზე წარსადგენ ინსტიტუტის დებულების ცვლილებების პროექტს;

ე) ეხმარება დირექტორს კვლევის სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბებაში;

ვ) სთავაზობს დირექტორს კვლევის აქტუალურ თემებს და აძლევს პროფესიულ რჩევებს;

ზ) პოპულარიზაციას უწევს ინსტიტუტს, ეხმარება სამუშაო კონტაქტების დამყარებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებაში.

მუხლი 5. პროფესიული საბჭოს სხდომა

1. ინსტიტუტის პროფესიული საბჭოს სხდომას იწვევს დირექტორი ან ინსტიტუტის საბჭო ხმათა უბრალო უმრავლესობით;

2. პროფესიული საბჭო უფლებამოსილია, გადაწყვეტილება მიიღოს დამსწრეთა უმრავლესობით;

3. პროფესიული საბჭოს სხდომის შემდეგ დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი;

4. პროფესიული საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება საბჭოს გადაწყვეტილების სახით.

მუხლი 6. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტს ჰყავს აკადემიური პერსონალი, მკვლევრები და დამხმარე პერსონალი;

2. ინსტიტუტის პერსონალის შრომითი ფუნქციები გაწერილია მათ შრომით კონტრაქტში;

3. აკადემიური პერსონალის თანამდებობის დაკავება შესაძლებელია უმაღლესი განათლების შესახებ კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ცენტრი

1. ინსტიტუტში განთავსებულია ცენტრები, რომლებიც ინსტიტუტის დებულების შესაბამისად ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობას.

2. ცენტრის ხელმძღვანელი შედის ინსტიტუტის პროფესიული საბჭოს შემადგენლობაში.

3. ცენტრი ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე ახორციელებს ფინანსურ კონტრიბუციას ინსტიტუტის ბიუჯეტში.

4. ცენტრი უფლებამოსილია, ინსტიტუტის დირექტორსა და პროფესიულ საბჭოსთან შეთანხმებით შეადგინოს პროგრამები და სერვისები, მოიპოვოს და განკარგოს დაფინანსება ინსტიტუტის დებულებისა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

5. ცენტრის ხელმძღვანელი ვალდებულია, მის მიერ განხორციელებული ან/და განსახორციელებელი პროგრამების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს პროფესიულ საბჭოსა და დირექტორს.

მუხლი 8. ინსტიტუტის ქონება და ბიუჯეტი

1. ინსტიტუტის პროფესორები და მკვლევრები სარგებლობენ უნივერსიტეტის ქონებით უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

2. ინსტიტუტის დაფინანსება ხორციელდება სხვადასხვა წყაროდან:
   - შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსება;
   - მომსახურების საფასურის ინდივიდური გადახდა;
   - სახელმწიფო-პროგრამული დაფინანსება;
   - დონორების მიერ კონკრეტული პროექტული დაფინანსება;
   - კერძო შემოწირულობები;
   - სადაზღვევო საურავით მიღებული დაფინანსება;
   - სხვა შემოსავლები, რომლებიც კანონით არის ნებადართული.

3. ინსტიტუტისა და პროგრამების ფინანსების განკარგვა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 9. ინსტიტუტის გარდაქმნა და გაუქმება

ინსტიტუტის გარდაქმნისა და გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 10. დებულებაში ცვლილების შეტანის წესი

დებულებაში შესატან ცვლილებას ინსტიტუტს დირექტორთან ერთად შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის პროფესიული საბჭო, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.